ახალი განთიადი

„მეფნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული„

23 აპრილი - 8 მაისი 2015 წელი №7 №8089 ელფოსტა : axaligantiadi@gmail.com.

84-ე წელია ჩვენი გაზეთი იწერს, ვგრძოვებს, იბეჭდება რესპონდენტი, ხალხს ეს ფურცელ ყოველთვე ეხმარება, ქმნის ჩვენი ცხოვრების შეფასებულ მეცნიერებ ... გამოიწერეთ "ახალი განთიადი" და გახდით ჩვენი მკითხველი

„ახალი განთიადი„ ეძიებს ინტერესებს ყველა ადგილის ოფიციალურ შეხვედრებ. თხოვნით მივმართავთ თანამოაზრეებს - დადგეთ თქვენი ყველა ჩვენს მეცნიერებაში! გამოგვიგზავნეთ ინტერესებ და ახალი ფოტოები!

ბაკურიანი-ქასპი-ახალქალაქის შიდასახელმწიფოებრივი გზის რეაბილიტაცია გვ2.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოიყო 1 900 000 ლარი გვ2.

"მიურავი" ანაშაში გვ5

ცენტრალური მაგისტრალი 300 გრძივ მეტრზე მიეწყობა გვ3.

მიმდინარეობს ცხბოვშვი ბალიების რეაბილიტაცია გვ3.

ინფრასტრუქტურული სამუშაოები გრძელდება გვ3.

"მე სამშობლო მინის ჯარისკაცი ვარ" გვ4.

გრძელვადიანი პროექტი გვ4.



საჭიდაო წრეში

საქართველოს ფალავნები და პრიზიორები ქასპის რაიონიდან

საალდგომო საჩუქრები დევნილთა ოჯახებს გვ2.

ჩვენ (ძველ) ებური ამბები

"ცოცხალი წიგნები" გვ7.

ქვემო ჯალის ანსამბლი დაჯილდოვდა

ჯერმო გომის ცეკვრო ცოლოვში გვ5.

შეფცნობილი. მოფლოდნელი. ცვინდელები... გვ5.

მამულო, სიცოცხლეო!

9 აპრილს კასპის მუნიციპალიტეტის ორგანიზებით ქალაქის ცენტრში, გმირთა მემორიალთან ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და ქალაქის საზოგადოება შეიკრიბა.

შეკრებილებმა კიდევ ერთხელ პატივი მიაგეს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის შეწირული გმირების ხსოვნას.

კასპის ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძრის მოძღვარმა მამა გიორგიმ და მამა იოანემ დაღუპულთათვის წირვა აღავლინეს.

მამა გიორგიმ, რომელიც თავადაც 9 აპრილის მონაწილე იყო, ქართველთა გმირობის ის წუთები გაიხსენა, როდესაც ისინი რუსულმა ტანკებმა და ალესილმა ნიჩბებმაც კი ვერ შეაჩერა.

ცხრა აპრილი ქართველი ხალხისათვის, სრულიად საქართველოსათვის არის, ჩვენი ისტორიის უმნიშვნელოვანესი ფურცელი, ქართველი ერის გმირობისა და თავისუფლების წყურვილის გამოხატულება. 21 ადამიანი მოკლეს, ისინი გმირები არიან, საქართველოს დამოუკიდებლობას, საკუთარი ქვეყნის თავისუფლებასა და სიყვარულს შეეწირნენ. მას შემდეგ 26 წელი გავიდა, ჩვენ მათი დავიწყების უფლება არ გვაქვს, ისინი გმირებად დარჩებიან - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა.

იგოეთი-კასპი-ახალქალაქის შიდასახელმწიფოებრივი გზის რეაბილიტაცია

მიმდინარეობს იგოეთი-კასპი-ახალქალაქის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

გზის მონაკვეთის სიგრძე 6,5 კილომეტრია, რომელიც მოიცავს სოფელ იგოეთსა და მრგვალი ჭალას, მთავრდება კასპში, ე.წ. წყალსაქაჩის ხიდთან.

ამჟამად მიმდინარეობს ხიდების გაგანიერების და გამაგრებითი სამუშაოები. გზის რეაბილიტაციის სამუშაოებს აწარმოებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "ზიმო". სამუშაოები, რომლის ღირებულებაც 4 852 000 ლარია, მიმდინარე წლის ნოემბერში დასრულდება.

სააღდგომო საჩუქრები დევნილთა ოჯახებს

კასპის მუნიციპალიტეტში აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილ კომპაქტურად ჩასახლებულ ოჯახებს კასპში, სოფელ მეტეხსა და თელიანში სააღდგომო საჩუქრები დაურიგდათ.

მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოცხადებულ ტენდერში შპს "დუოლი"-მ გაიმარჯვა, რომელმაც 159 ოჯახს საცხოვრებელ ადგილზე, გამგეობის მიერ შეკვეთილი 9 დასახელების 70 ლარიანი სასაჩუქრე პაკეტი მიუტანა.

ყველა ოჯახმა მიიღო 2 ცალი ქათამი, სააღდგომო პასკა, 1 ფილა კვერცხი, 5 ლიტრი ზეთი, 5 კგ. შაქარი, 600 გრ. კარაქი, 2 ცალი შესქელებული რძე, 1 კგ. ტკბილეული და 5 კგ. ფქვილი.

დევნილი ოჯახებისადმი ეკონომიური და მორალური თანადგომა ჩვენი მოვალეობაა. ვცდილობთ, შესაძლებლობის ფარგლებში, მათ გვერდით ვიყოთ და დევნილობით გამოწვეული ტკივილი შევუმსუბუქოთ - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა.

დევნილთა ოჯახები კმაყოფილები არიან ნობათით. მათ მადლობა გადაუხადეს კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოიყო 1 900 000 ლარი

კასპის მუნიციპალიტეტში იგოეთი-კასპის საავტომობილო გზის სრული რეაბილიტაციის სამუშაოების მიმდინარეობისას გაირკვა, რომ სოფელ სამთავისიდან მომავალი ფოლადის მილი და სოფელ ქვემო ჭალიდან მომავალი აზბოცემენტის მაგისტრალი, რომლითაც ქალაქ კასპის მოსახლეობა მარაგდება სასმელი წყლით მთლიანად შესაცვლელია.

კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის წერილობითი მიმართვის საფუძველზე და შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის ზურაბ რუსიშვილის მხარდაჭერითა და ხელშეწყობით საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 აპრილის №692 განკარგულებით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოიყო 1 900 000 ლარი. აღნიშნულ სამუშაოებს შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია" ასრულებს.

ძვირფასო მკითხველო!

რუბრიკა - "წელიწადის მეხუთე დრო" ელოდება თქვენს გამოხმაურებას. მობრძანდით რედაქციაში, წარმოადგინეთ თქვენი ნამუშევრები (ელექტრონული ვერსია) და გააცანით ისინი საზოგადოებას.

გამოიწერეთ "ახალი განთიადი"

ინფრასტრუქტურული სამუშაოები გრძელდება

კასპის მუნიციპალიტეტში გრძელდება ინფრასტრუქტურული სამუშაოები.

მიმდინარე წელს პრიორიტეტად რჩება სასმელი წყლის, საკანალიზაციო სისტემის, გზების, ხიდების, საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია.

2015 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 12 პროექტი ფინანსდება:

1. კასპის მუნიციპალიტეტის სოფლებში ნიგოზასა და ჩობალაურში სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია, სატუმბი სადგურის მოწყობა სოფელ რენეში და სოფელ სამთავისში არსებული სადგურის რეკონსტრუქციის სამუშაოები.

აღნიშნული პროექტი ნიგოზასა და ჩობალაურის მოსახლეობას უზრუნველყოფს სასმელი წყლით, ანუ ყველა ოჯახი წყალს მიიღებს ინდივიდუალურად. ამჟამად დასრულებულია პროექტი, ჩატარებულია ექსპერტიზა, სამუშაოების შესასრულებლად უახლოეს პერიოდში გამოცხადდება ელექტრონული ტენდერი.

2. ქალაქ კასპში საკანალიზაციო ცენტრალური ქსელის რეაბილიტაციის და დარჩენილ ქუჩებზე ქსელის მოწყობის სამუშაოები. მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები. გასულ წელს, ქალაქში მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა და პროცესი გრძელდება. პროექტი გრძელვადიანია და გაგრძელდება ქალაქის საკანალიზაციო ცენტრალური ქსელის სრულ მოწყობა- რეაბილიტაციამდე.

3. კასპის მუნიციპალიტეტის მტკვრის მარცხენა მხარის საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის მეორე ეტაპის სამუშაოები.

4. კასპის მუნიციპალიტეტის მტკვრის მარჯვენა მხარის საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის II ეტაპის სამუშაოები.

5. ქალაქ კასპის საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის მეორე ეტაპის სამუშაოები.

2014 წელს საბავშვო ბაღებს, ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები უკვე ჩაუტარდა. პროექტი გარდამავალია და დასრულდება 2016-2017 წელს.

დაგეგმილია საბავშვო ბაღების სრული რეაბილიტაცია, რაც უზრუნველყოფს როგორც აღსაზრდელების, ისე აღმზრდელების სამუშაო პირობების გაუმჯობესებას. საქართველოს მთავრობის მიერ საბავშვო ბაღებში გადასახადის გაუქმებამ ბავშვთა კონტინგენტი გაზარდა.

საბავშვო ბაღების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები.

6. ქალაქ კასპში მირიან მეფის ქუჩის სრული რეაბილიტაცია და კვარტალური ეზოების მოწყობის სამუშაოები.

მირიან მეფის ქუჩის სრული რეაბილიტაციის პროექტირება დასრულებულია. 2014 წელს მიმდებარე ტერიტორიაზე მოწესრიგდა საკანალიზაციო სისტემა, რამაც გზის მოასფალტების სამუშაოების შესრულება შესაძლებელი გახადა.

7. ქალაქ კასპში დადიანის ქუჩის სრული რეაბილიტაციის სამუშაოები. აღნიშნულ ქუჩაზე გასულ წელს მოეწყო საკანალიზაციო სისტემა - 10 ქუჩის შემაერთებელი ჭით. ამჟამად მოასფალტების პროექტირების სამუშაოები მიმდინარეობს. უახლოეს პერიოდში გამოცხადდება სამუშაოების ელექტრონული ტენდერი.

8. სასირეთი-თელიანის გზის, სოფელ თელიანის მონაკვეთზე რეაბილიტაცია - მოასფალტების სამუშაოები. გზის სამუშაოების პროექტი დასრულებულია. ამჟამად მიმდინარეობს ელექტრონული ტენდერის გამოსაცხადებლად წინა მოსამზადებელი სამუშაოები.

9. კასპის მუნიციპალიტეტის ოკამი-ლამისყანა-თეზის თბილისი-სენაკი-ლესელიძის ჩქაროსნულ მაგისტრალთან შემაერთებელი გზების სრული რეაბილიტაციის მეორე ეტაპის სამუშაოები.

პროექტი გასულ წელს დაიწყო და მოასფალტდა სოფელ ოკმის შიდა სახელმწიფო გზა. ამჟამად, სამუშაოები თეზის შიდა სახელმწიფო გზაზე მიმდინარეობს, რომელსაც შპს კომპანია "ბლექსი გრუპი" აწარმოებს.

პროექტი სამ ეტაპიანია, მომავალ წელს დაგეგმილია სოფელ ლამისყანის გზის სამუშაოები.

10. მდინარე თეძამზე, სოფელ თეძმისხევისა და ახალსოფლის დამაკავშირებელი სამანქანე და საფეხმავლო ხიდის სამშენებლო სამუშაოები.

2014 წელს მომზადდა ხიდის მშენებლობის პროექტი, დასრულებულია პროექტის ექსპერტიზაც. ახალი ხიდი ორი სოფლის მოსახლეობას გადაადგილების კომფორტულ საშუალებას მისცემს.

11. ქალაქ კასპში აღმაშენებლის ქუჩაზე, "წყალსაქაჩთან" მდებარე ხიდის რეაბილიტაციის სამუშაოები.

მიმდინარეობს პროექტირება, პროექტის განხორციელება ასევე გააუმჯობესებს მოსახლეობის და ტრანსპორტის კომფორტულ და უსაფრთხო გადაადგილებას. არსებული ხიდი, სივიწროვის გამო საფრთხის შემცველია.

12. სოფელ ზემო ხანდაკის სასმელი წყლის მაგისტრალის მიყვანა არსებულ წყალშემკრებ რეზერვუარამდე.

2015 წელს მომზადდება საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ამჟამად, პროექტირება დასრულებულია, მიმდინარეობს კორექტირება.

კასპის მუნიციპალიტეტში განხორციელებული 12 პროექტი, რომელზეც 5 მილიონამდე ლარი დაიხარჯება, - მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს კასპის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალურ პირობებს.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

ცენტრალური მაგისტრალი 300 გრძივ მეტრზე მოეწყობა

კასპში, ბორჯომის ქუჩის მოსახლეობა გაზიფიცირების გარეშე იყო დარჩენილი.

შპს "საქგორგაზმა" აღნიშნულ ქუჩაზე უკვე მიიტანა გაზიფიცირების სამუშაოებისათვის საჭირო მილი და სამუშაოებიც დაიწყო. როგორც შპს "საქგორგაზი"-ს წარმომადგენელმა აღნიშნა, ქუჩაზე ცენტრალური მაგისტრალი 300 გრძივ მეტრზე მოეწყობა.

მიმდინარეობს ცხბავშვო ბაღების რეაბილიტაცია

გასულ წელს, კასპის მუნიციპალიტეტის 26 საბავშვო ბაღში ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა.

კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობამ 2015 წელს დაგეგმა დარჩენილი სამუშაოების გაგრძელება. აღნიშნულთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის გამგეობამ გამოაცხადა საპროექტო სამუშაოების ტენდერი. ტენდერში ორი გამარჯვებული საპროექტო ორგანიზაცია შპს "სპექტრი" და ი. მ. "ქეთევან დიმიტრიადი" გამოვლინდა. გამარჯვებულმა საპროექტო ორგანიზაციებმა დაპროექტებასთან დაკავშირებით, შეხვედრა გამართეს მუნიციპალიტეტის გამგეობის, გამგეობის ეკონომიკის განვითარების და კულტურის, განათლების, სპორტის და ძეგლთა დაცვის სამსახურის ხელმძღვანელობასთან. პროექტის სათანადოდ შედგენის და სამუშაოების სწორად დაგეგმვის მიზნით, გამგეობის საბავშვო ბაღების გაერთიანების და ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლებთან ერთად, ადგილებზე ათვალიერებენ საბავშვო ბაღებს.

საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ვცდილობთ სათანადო პირობები შევუქმნათ ბაღის აღსაზრდელებს და პედაგოგიურ კოლექტივს - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ ზაზა მოსიაშვილმა.

გამოიწერეთ "ახალი განთიადი" და გახდით ჩვენი მკითხველი!

ბავშვობაში ნათქვამი "ფრთიანი ფრაზები" მთელი ცხოვრება ალამაზებენ მოგონებებს, ისინი დამსახურებულად იკავებენ ადგილს ოჯახურ "ოქროს ფონდში," თაობიდან თაობას გადაეცემიან და ყველა შინაურული თავყრილობის მთავარი სახალისო საამბობნი ხდებიან. შეინახეთ თქვენი ბავშვობის საინტერესო წუთები ჩვენს რუბრიკაში "მაკნატუნა" და გახდით სასურველი სტუმარი

გახდით ცალკეული ცდუმარი

გრძელვადიანი პროექტი



2014 წელს ქალაქ კასპში საკანალიზაციო სისტემის მოწყობა-რეაბილატიცის მიზნით მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა.

2015 წელს კასპის მუნიციპალიტეტში გრძელდება საკანალიზაციო სისტემის ცენტრალური ქსელის მოწყობის სამუშაოები.

კასპის გამგეობაში საკანალიზაციო სისტემის ცენტრალური ქსელის მოწყობის სამუშაოების პროექტის წინასწარი განხილვა გაიმართა, რომელიც საპროექტო სამუშაოებზე გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულმა შპს ''არქდიზაინმშენ''-მა წარმოადგინა.

საპროექტო ორგანიზაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ წინასწარი განხილვის მიზანია პროექტის სრულყოფილი შედგენა.

პროექტი გრძელვადიანია და გაგრძელდება ქალაქის საკანალიზაციო ცენტრალური ქსელის სრულ მოწყობა - რეაბილიტაციამდე.

ცხვრის ვაქცინაცია დასრულდა

კასპის მუნიციპალიტეტში დასრულდა ცხვრის ვაქცინაცია ყვავილის დაავადებაზე.

როგორც სურსათის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონალური სამართველოს სპეციალისტმა კასპის მუნიციპალიტეტში,ვეტერინარიის დარგში ზურაბ პარკაძემ განაცხადა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვაქცინაცია ჩაუტარდა 13 300 სულ ცხვარს.

რაც შეეხება თურქულის დაავადებას, ვაქცინაცია ჩაუტარდა 3 495 სულ მსხვილფეხა საქონელს, პარალელურად, საქონელს ყურზე ნომერი უკეთდება. ვაქცინაცია მაისის ბოლომდე გაგრძელდება. რაც შეეხება ცოფს - მიმდინარეობს ძაღლების და კატების ვაქცინაცია.

გამოფენა დასრულდა

გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საგამოფენო დარბაზში მოწყობილი გამოფენა, რომელიც თითქმის ორი თვის განმავლობაში მრავალმა დამთვალიერებელმა ნახა, გამოირჩეოდა თავისი ორიგინალობითა და განსაკუთრებულობით... საქმე ის გახლავთ, რომ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მხატვარ ალექსანდრე ციხელაშვილის ნახატები და კასპელი ქველმოქმედის უშანგი მოსიაშვილის ნამუშევრების ფოტორეპროდუქცია.

გამოფენა მოეწყო კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის (დირექტორი გიორგი ჩადუნელი) ინიციატივით და როგორც უკვე აღინიშნა დამთვალიერებელი არ მოჰკლებია, მოდიოდნენ საჯარო სკოლების მოსწავლეები, ახალგაზრდები და სტუდენტები, ხელოვნების თაყვანისმცემლები.

გამოფენა შეაფასა მხატვარმა იორამ იმედაშვილმა, ხოლო კოლექციონერმა უშანგი მოსიაშვილმა, რომლის მიერ შესრულებულ ქართველ მეფეთა პორტრეტებს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა გამოფენაზე, ვრცლად ისაუბრა მხატვარ ალექსანდრე ციხელაშვილის შემოქმედებაზე, გაიხსენა არაერთი ნახატის შექმნის ისტორიაც... გამოფენასთან დაკავშირებით საკუთარი აზრი გამოთქვეს: კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა თეა ხორბალაძემ, მუზეუმების გაერთიანების დირექტორმა გივი მელაძემ.

კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება.

კასპის ისტორიიდან

ამას წინათ კასპის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში მოეწყო საინტერესო შეხვედრა. საქმე ის გახლავთ, რომ ისტორიისა და მხარეთმცოდნეობის წრის /ხელმძღვანელი ნანა მერებაშვილი/ წევრების მოწვევით ლექცია თემაზე ''ქალაქი კასპი — მასალები ქალაქის ისტორიიდან'' წაიკითხა მუზეუმის განყოფილების გამგემ ლალი თათრიშვილმა. წაკითხულმა მოხსენებამ საერთო მოწონება დაიმსახურა, ერთად განიხილეს თემა მოსწავლეებმა და პედაგოგებმა, მოწვეულმა სტუმრებმა. უფრო საინტერესო და ყურადსაღები იყო ის ფაქტი, რომ ლექციაზე ბავშვებმაც გამოიჩინეს თავი და დამსწრე საზოგადოებას წარუდგინეს საკუთარი ''ნაშრომები'' ჩვენი ქალაქის გამოჩენილ ადამიანებზე და ქებაც დაიმსახურეს.

სახელოვნებო სკოლების გაერთიანება.

''მე სამშობლო მიწის ჯარისკაცი ვარ''

ეს დაუვიწყარი სიტყვები ქართველ გენერალს გიორგი მაზნიაშვილს ეკუთვნის... ქვეყნისათვის თავდადებულ რაინდს ერთხელ, წინასწარ ისიც კი უთქვამს: ''ერთი გაბრაზებული თაობა დამხვრეტს, მეორე, დამშვიდებული თაობა მკვდრეთით აღმადგენსო'', — დიახ, სწორედაც რომ ასე მოხდა, წლების განმავლობაში სამშობლო-ქვეყნიდან დევნილი და გადასახლებული, მოწამებრივი სიკვდილით აღსრულებული სარდლის სახელის ხსენებაც კი წარმოუდგენელი იყო ''საბჭოთა საქართველოში'', ხოლო ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ გიორგი მაზნიაშვილის ღვაწლი და დამსახურება სრულიად საქართველომ გაიცნო... სახ-

რამდენიმე დღის წინ კასპის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ჩატარებული საინტერესო ღონისძიება სახელწოდებით '' მე საქართველოს გენერალი ვარ'', — რომელიც გიორგი მაზნიაშვილის ხსოვნას მიეძღვნა. ეს პატარა თეატრალიზებული წარმოდგენა მოამზადა მოსწავლეთა სახლის ისტორიისა და მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელმა ნანა მერებაშვილმა. ბავშვებმა შესანიშნავად წარმოადგინეს ვალერიან კანდელაკის ინსცენირებული პიესა ''დრო 24 საათი''. ჭალისურმა, კობა გასიტაშვილმა, მიხეილ სამხარაძემ, ანზორ დალაქიშვილმა, ნიკა კობაიძემ.

ღონისძიების მომზადების პროცესში მოსწავლეებმა იხელმძღვანელეს კასპის გიორგი ხორგუაშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მიერ მოწოდებული ფოტო-დოკუმენტური მასალით. შეხვედრაზე შეკრებილ საზოგადოებას მიესალმა მოსწავლეთა სახლის დირექტორი ლელა პეტრიაშვილი. მოსწავლეების მიერ მომზადებული ლიტერატურული კომპოზიცია დადებითად

შეაფასა კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დირექტორმა ლალი ჯანჯალაშვილმა.

ელოვანი წინაპრის გმირულ წარსულს სწავლობენ, ინტერესით ეცნობიან ეროვნული გვარდიის კურსანტები, ახალგაზრდები, მოსწავლეები. ამის მკაფიო მაგალითი გახლავთ ამ წინასწარ შერჩეული და საგულდაგულოდ განაწილებული როლები მოირგეს მოსწავლეებმა: ლუკა მერებაშვილმა, ხატია მიქელაძემ, ხატია სამნიაშვილმა, მარიტა ბალხამიშვილმა, ქეთი

სახელოვნებო სკოლების გაერთიანება.

"მოურავი" აბაშაში

შარშან, შემოდგომაზე ჩვენს ქალაქს სტუმრობდა აბაშის კულტურის ცენტრთან არსებული სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამბლი "ჰარირა", რომელმაც აქაური მაყურებლისათვის ჩაატარა ორსაათიანი კონცერტი და მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა.

— მეგრული "ჰარირას" სტუმრობა კასპში შემთხვევითი არ ყოფილა, ეს იყო გაცვლითი პროგრამა, — განაცხადა კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა თეა ხორბალაძემ, — და შარშან გადაწყდა ის, რომ სწორედ წელს, გაზაფხულზე ახლა ჩვენი ანსამბლი წარდგებოდა მეგრელი მაყურებლის წინაშე, ამიტომაც მარტის ბოლოს ჩვენი ფოლკლორული ანსამბლი "მოურავი" (ლოტბარი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გივი ბახტაძე) გაემგზავრა აბაშაში და იქაურ მაყურებელს გააცნო თავისი ვრცელი საკონცერტო პროგრამა.

როგორც ღონისძიების ორგანიზატორები აცხადებენ, "მოურავის" გამოსვლამ აბაშაში სრული ანშლაგით ჩაიარა, მათ მიერ შესრულებული ქართული ხალხური სიმღერები მაყურებელმა ოვაციით მიიღო, მასპინძლებმა "მოურავის" წევრებს წარუდგინეს მიუზიკლი " სერგუნიკას ქორწილი".

ღონისძიების მხატვრული ნაწილის დასრულების შემდეგ ისიც გამოცხადდა, რომ ეს ერთობლივი კონცერტი აბაშისა და კასპის მუნიციპალიტეტების მეგობრობას მიეძღვნა და ეს შემოქმედებითი ურთიერთობა სამომავლოდაც გაგრძელდება.

კულტურის დაწესებულებების გაერთიანება.

პროექტის მთავარი თემა: „XXI საუკუნის დაავადებები„

ქვემო გომის საჯარო სკოლაში

ქვემო გომის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებლის ლარისა პავლიაშვილის ხელმძღვანელობით მოამზადეს აქტუალური, ძალიან საინტერესო პროექტი — "XX1 საუკუნის დაავადებები", რომლის პრეზენტაციას მთელი სკოლა დაესწრო.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ აგრეთვე მოწვეული სტუმრები, რომელთა შორის იყვნენ სოფლის რწმუნებული კახა კაციაშვილი, სპეციალისტი მარინე ლომიაშვილი, სოფლის ამბულატორიის ექიმები ეკა შეშაბერიძე და მარინე ქიტიაშვილი, აქტივის წარმომადგენლები, მშობლები.

ღონისძიებას უძღვებოდნენ მოსწავლეები: ლიკა ნატროშვილი, თათია რევაზიშვილი და თათია თათრიშვილი, რომლებმაც შესანიშნავად გაართვეს თავი დავალებას, პრეზენტაცია ტექნიკურად უზრუნველყო მეათეკლასელმა ნინო ბიძინაშვილმა. დინამიური, სახალისო იყო დარბაზში გამართული დებატები, სადაც მოსწავლეებთან ერთად აქტიურობდნენ მოწვეული სტუმრებიც.

ჯანმრთელობის მნიშვნელობასა და გავრცელებულ დაავადებებთან დაკავშირებით გამართულ დებატებში აზრი გამოთქვეს მოსწავლეებმა: ლანა მამულაშვილმა, მარი რევაზიშვილმა, ანა დევნოზაშვილმა, ნინო კაციაშვილმა, თამარ მჭედლიშვილმა, მარიამ ნინიკაშვილმა. პროექტის მონაწილე მოსწავლეებმა მარი სუსუნიაშვილმა, ნინო მჭედლიშვილმა, ვენერა როსებაშვილმა და თამარ მარიდაშვილმა პრეზენტაციაზე წარმოადგინეს კვლევები და მოსახლეობაში ჩაწერილი ინტერვიუები, რომელიც უკავშირდება დღეს გავრცელებულ დაავადებებს /გულ-სისხლძარღვთა სისტემა, სიმსივნე, დიაბეტი, სახსრების დაავადება /, რომელთა ოპერატიულ დიაგნოსტიკას და მკურნალობას უდიდესი როლი ენიჭება.

თემების განხილვისას დაავადებების გავრცელების ერთ-ერთ წყაროდ დასახელდა ეკოლოგიური პირობები. ამიტომაც პრეზენტაციაზე განსაკუთრებული ადგილი დაეთმო სახელმწიფოს მიერ მიღებულ კანონს "სისუფთავის დაცვისა და ნარჩენების მართვის შესახებ", აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით შეკრებილებს ამომწურავი პასუხი გასცა სოფლის რწმუნებულმა კახა კაციაშვილმა და ამავე დროს დაისახა კიდეც პრობლემის მოგვარების საკითხიც.

საყურადღებო იყო პრეზენტაციაზე მოწვეული ექიმების გამოსვლა. მათ პროფესიული კუთხით შეაფასეს მოსწავლეებისა და მასწავლებლის მიერ მომზადებული პროექტი და მას წარმატებული და აქტუალური უწოდეს.

— ეს არ გახლავთ ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ჩვენი სკოლის ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებელმა ასეთი საინტერესო და აქტუალური პროექტი შემოგვთავაზა, — განაცხადა შეხვედრაზე სიტყვით გამოსვლისას სკოლის დირექტორმა თამარ მამულაშვილმა, — მას სხვა დროსაც ჩაუტარებია შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებები, საინტერესო, შინაარსით დატვირთული შეხვედრები, რისთვისაც მთელი პედაგოგიური კოლექტივისა და მოსწავლეების სახელით გულწრფელ მადლობას მოვახსენებ.

პრეზენტაციას მხატვრული ნაწილიც ახლდა, საქმე ის არის, რომ მოსწავლეებმა თამარ მარიდაშვილმა, ვენერა როსებაშვილმა და გიორგი ნაბახტეველმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინეს სახელდახელოდ შედგენილი სცენარის მიხედვით დადგმული სკეტჩი "მოხუცების დიალოგი", რომლითაც ძალიან კარგად იხალისეს სტუმარ-მასპინძლებმა. შეხვედრა დამთავრდა ესტრადის ცნობილი მომღერლის ეთერ კაკულიას კლიპით და სიმღერას მთელი დარბაზი აჰყვა.

გამოგვეხმაურეთ!

შეუცნობელი, მოულოდნელი, საინტერესო...

ადამიანი სიცოცხლის განმავლობაში მრავალი უცნაური, მოულოდნელი თუ აუხსნელი მოვლენის მოწმე ხდება. ხშირ შემთხვევაში არ ვიცით, ვის გავუზიაროთ ნანახი, ალბათ იმის შიშით, რომ შეიძლება არასწორად გაგვიგონ. თუ ყოფილხართ მომსწრე აუხსნელი, უცნაური, შეუცნობელი მოვლენისა შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ამ მოვლენის ამსახველი მასალა. მისი გაცნობისა და შესწავლის შემდეგ თუ იგი საინტერესო იქნება გაზეთის მკითხველისათვის, გამოქვეყნდება გაზეთში რუბრიკით "შეუცნობელი.". საჭიროების შემთხვევაში შეგვიძლია თქვენს მიერ შემოთავაზებული წერილი გადავცეთ ჟურნალ "ფენომენს" და შესაბამისად ავტორი გაეცნოს ექსპერტთა შეფასებებსა თუ კომენტარებს.

საქართველოს ფალავნები და პრიზიორები კასპის რაიონიდან

ჩვენ (ძველ) ებური ამბები

* 40 წლის წინ ...

1975 წელი: მეოცე საუკუნის 70-იანი წლების საწყისი და შუა მონაკვეთი ერთგვარი გარდამავალი პერიოდი აღმოჩნდა ჩვენი რაიონის ე. წ. "ძველი" და "ახალი" თაობების მოჭიდავეთა მონაცვლეობაში. ეს ეტაპობრივად ხდებოდა: მრავალ ხმაურიან გამარჯვებას ჩვეულნი თანდათან თმობდნენ საასპარეზოს, მათ შემცვლელებად კი წრეში ახალმუხლმომაგრებულნი დგებოდნენ. ძველების ნაწილმა ჭიდაობას უგანა, ნაწილი კი ისევ ჭიდაობით სუნთქავდა და ხელი მოჰკიდა მწვრთნელობას, მსაჯობას... ამჯერად თვალს მივადევნებთ "ახალი ტალღის" წარმომადგენლებს. სწორედ მათ დაიდეს ლომის არჩივი საუკუნის მეშვიდე ათწლეულის სასახელო სპორტულ გამარჯვებებში, რომელთა რეზონანსი გადასწვდა საკავშირო, საერთაშორისო თუ მთელი დუნიის ჩემპიონატებს...

დიახ, სწორედ 1975 წელი იქცა კასპელი სამბისტის, იოსებ მაღალაშვილის, სპორტული ბენეფისის დასტურად: მან, ჯერ იყო და, ქ. თბილისში ჩატარებულ საბჭოთა კავშირის პირველობაზე მოიპოვა ჩემპიონობა (წინა წელს ქ. კაუნასში კუთვნილი ოქროს მედლის გემო ამჯერად მეორედ დაიგემოვნა); ამას ზედ მიაყოლა საკავშირო ხალხთა მეექვსე სპარტაკიადის ჩემპიონობა პირად და მეორე პრიზიორობა გუნდურ ჩათვლებში; მერე კი ქ. მინსკში იჭიდავა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი და, შეიძლება ითქვას, რომ ხელი მოეცარა, რადგანაც წინა წელს მონღოლეთის დედაქალაქში მასპინძელი მოჭიდავისათვის ართმეული ოქროს გადაცვლა სწორედ მასთან მოუხდა ვერცხლისაში...

1975 წელსვე ძიუდოისტმა ამირან ობგაიძემ გაიმარჯვა თბილისის საერთაშორისო ტურნირში, რისთვისაც იმავე წელს მიეკუთვნა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატობა... ჭიდაობის ამავე სახეობაში სპორტის ოსტატობა მოიპოვა ორმა მოჭიდავემ – დავით კოდანოვმა (ბერძენიშვილმა) და ირაკლი სიდამონიძემ...

და, მაინც, ჩვენი წერილის ამ მონაკვეთის უპირველესი გმირია ერთი მოჭიდავე – ოთარ ყურაშვილი! მას თავისი წილი აგური აქვს დადებული კასპის რაიონის სპორტულ ისტორიაში. დიახ, თავისი წონადი სიტყვა ხომ თქვა, როგორც მოჭიდავემ და ფალავანთა ფალავანმა, და, არსებითი კი ისაა, მისებრი დონის მოქმედი მსაჯი მთელ საქართველოშიც კი ორად-ორი კაცია!

ვინც იცნობს ამ პიროვნებას, სმენია მის სპორტულ მიღწევებზე, საკუთარი თვალით უხილავს მისი ჭიდაობა სოფელ ხოვლისა თუ კასპის რაიონის ნაკრებ გუნდებში გამოსვლისას, ანდა სრულიად საქართველოს ფალავნობის ზეიმებზე, ყველას გვინდა ვუთხრათ: ბატონი ოთარ ყურაშვილი ამ თვის იუბილარია: 12 აპრილს დაბადებიდან 60 წლისთავი შეუსრულდა!

* ოთარ ყურაშვილი – ფალავანთა ფალავანი!

კასპელ მოჭიდავეთაგან, ვისაც კი ძალები მოუსინჯავს საქართველოს ფალავნის ტიტულის მოსაპოვებლად, მას ეკუთვნის ჯერჯერობით განუმეორებელი რეკორდი: ფინალურ ეტაპზე იჭიდავა 4-ჯერ(!).

საინტერესოა, რომ ფალავნობა დაიმსახურა პირველივე ცდაზე – 1973 წელს, როცა ჯერ 19 წელიც არ შესრულებოდა, ამით იგი შევიდა ფალავნობის ისტორიაში, როგორც ყველაზე ახალგაზრდა ფალავანი!

1974 წელს ტიტულის დაცვა არ უცდია.

1975 წელს (წერილში აქცენტი აკი სწორედ ამ წელზეა აღებული) ოთარ ყურაშვილმა კვლავ იფალავნა.

საინტერესოა, რომ ოთარს ფინალებში ორივეჯერ ერთიდაიგივე მოჭიდავე, თელაველი თენგიზ წითელაური შემოეფალავნა. ეს თელაველი ჯეილი კირკიტა ვაჟკაცი გახლდათ, მაგრამ უიღბლო, ვერც სხვა ორ შემთხვევაში მიაღწია სასურველ ჩემპიონობას. ამავე ფალავნობის სასიამოვნო სიურპრიზი გამოდგა კასპის რაიონის წარმომადგენლის, ზემოხანდაკელი მოჭიდავის, გიორგი ქამხაძის, წარმატება, რომელმაც მესამე საპრიზო ადგილი დაისაკუთრა.

აი, 1976 და 1977 წლებში კი ოთარ ყურაშვილი საფალავნო კვარცხლბეკის მარტოდენ მესამე საფეხურებზე ვიხილეთ. ამჯერად გამარჯვებულთა სამეულები ასე გამოიყურებოდა:

1976 წელი – 1. თემურ ხუბულური (გორი), 2. თენგიზ წითელაური (თელავი), 3. ოთარ ყურაშვილი (კასპი); 1977 წელი: – შოთა ჩოჩიშვილი (გორი), 2. ნოდარ ნუგზარიშვილი (კასპი), 3. ოთარ ყურაშვილი) კასპი).

აი, თურმე, ვისთან დათმო ოქროები – თემურ ხუბულურთანა და შოთა ჩოჩიშვილთან. ესენი ხომ ლეგენდარული სახელებია.

მსურს, მკითხველის ყურადღება მივაქციო ამ გვარებიდან ერთს – ნუგზარიშვილი გახლდათ ის კასპელი სასახელო მოჭიდავე, ვისაც მომდევნო წლებში თურმე კიდევ ორჯერ მოუწევდა ფინალებში ვერგამარჯვება (მის შესახებ მომდევნო მონაკვეთებში ვისაუბრებთ).

* საქართველოს ჩემპიონის რანგში



1970 წელს, საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე, ანუ 16 წლის ასაკში, ოთარ ყურაშვილი პირველად გახდა საქართველოს ჩემპიონი ძიუდოში (უფროსთა შორის).

საქართველოს ხუთგზის ჩემპიონია სამბოში (უფროსებში) პირად ჩათვლაში, ხოლო მრავალგზისი – გუნდურში. სპორტსაზოგადოება "კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს პირველობებზე გაიმარჯვა 8-ჯერ (!).

საჭიდაო ჩოხა და კიმონო არ გაუხდია 1968 წლიდან 1990 წლამდე (!). ბოლოს იჭიდავა საქართველოს გუნდურ პირველობაზე, თბილისის ცირკში, როცა მშობლიური რაიონის ნაკრებს გამარჯვების ქულა მოუტანა (მძიმე წონაში) და საქართველოს ჩემპიონობა მოაპოვებინა.



* საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზზე

ოთარ ყურაშვილი ერთადერთი ქართველი მოჭიდავეა, ვისაც მოუპოვებია აფრიკის ("შავი კონტინენტის") ჩემპიონობა ძიუდოში (ქ. ალჟირში მაშინ სხვა ქართველებმაც იჭიდავეს – ანზორ კიკნაძემ, ჯემალ კბილაშვილმა, გივი ჭიკაიძემ).

საერთაშორისო ტურნირებზე გაიმარჯვა უნგრეთში, გერმანიაში, კუბაზე... სხვაგან და სხვაგან...

საბჭოთა კავშირის პირველობებზე (ახალგაზრდებში) სამბოში 2-გზის ჩემპიონია, ხოლო უფროსებში გახდა მესამე პრიზიორი.

* მსოფლიო 9-გზის ჩემპიონი ვეტერანებში

დიახ, ის, რაც ვერ მოახერხა ახალგაზრდულ წლებში, რეალობად აქცია მოგვიანებით: ოთარ ყურაშვილი მსოფლიოს ვეტერან სამბისტთა პირველობათა 9-გზის გამარჯვებულია! პირველად ეს მოახერხა 1996 წელს, ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში ფინალში სძლია... ქართველ მეტოქეს, ზურაბ ნიკურაძეს (მსოფლიო ჩემპიონს თავისუფალ ჭიდაობაში (ახალგაზრდებში), თბილისის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულს).

* ოთარ ყურაშვილი – ექსტრაკლასის მსაჯი

ამჟამად არის საერთაშორისო ექსტრაკლასის მსაჯი სამბოში. საქართველოს სახელით მსაჯობს მსოფლიოსა და ევროპის პირველობებზე.

საინტერესოა ასეთი ფაქტი: 2014 წელს მსოფლიო პირველობები იმსაჯა ასაკობრივ 5 კატეგორიაში: ჭაბუკებში, ახალგაზრდებში, სტუდენტებში, კადეტებში, ვეტერანებში (სამხრეთ კორეაში და კვიპროსზე – 2-ჯერ). მის გარდა, ქართველთაგან მსოფლიო პირველობებზე გვყავს კიდევ ორი წარმომადგენელი: ემილ რაში – საქართველოს სახელით და გიორგი შუბითიძე – ამერიკიდან.

ოთარ ყურაშვილი შედის მსოფლიოს 20 საუკეთესო მსაჯის რეიტინგულ ნუსხაში. 2013 წელს ბულგარეთში ჩატარებულ ვეტერანთა ჩემპიონატზე აღიარეს №1 არბიტრად. ასევე მოხდა 2014 წელს ანალოგიურ ტურნირზე საბერძნეთის ქ. მედინაში, სადაც მიაკუთვნეს საუკეთესო არბიტრის წოდება...

* იუბილარის რამდენიმე შტრიხი

ოთარ ყურაშვილს 2009 წლიდან უკავია ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობა.

დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1977 წ.) და საქართველოს პოლიციის აკადემია (1997 წ.).

მიკუთვნებული აქვს პოლიციის პოლკოვნიკის სპეციალური წოდება.

2015 წლის მარტის ბოლოს მიწვეული იყო და მონაწილეობდა ქ. მოსკოვის (რუსეთი) სამსაჯო სემინარებზე, სადაც გაიარა მორიგი ტესტირება.

ამირან ტალახაძე.

სურათზე: კასპის რაიონის ნაკრები გუნდი ქართულ ჭიდაობაში – საქართველოს ჩემპიონი (დგანან –მარცხნიდან მარჯვნივ): ვეფხვია რაზმაძე, ოთარ ყურაშვილი, დავით ხოდელი, ლავრენტი კაციაშვილი (მწვრთნელი), გია ჯალალი, მერაბ ჭეხაშვილი; (წინა პლანზე) დავით დემეტრაშვილი, ჯამბულ პაპინაშვილი და გიორგი გორგაძე.

“ცოცხალი წიგნები”

14 აპრილს, დედა ენის დღეს კასპის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის დარბაზში შინაარსით დატვირთული, ძალიან საინტერესო შეხვედრა გაიმართა. დედაქალაქიდან ჩამოსულ სტუმრებს, თანამედროვე მწერლებსა და ცნობილ სახეებს აქაურმა მკითხველმა გულითადად უმასპინძლა... საქმე ის გახლავთ, რომ კულტურის სამინისტროს ინიციატივით წამოწყებულ უპრეცენდენტო ლიტერატურულ-საგანმანათლებლო პროექტს “ცოცხალი წიგნები”, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ქალაქებისა და სოფლების საჯარო სკოლებში, ბიბლიოთეკებში, მუზეუმებში, კულტურის სახლებსა და საჯარო დაწესებულებებში თანამედროვე მწერლების მკითხველთან შეხვედრას, მათი შემოქმედების გაცნობას, კასპელი საზოგადოება დიდი მოწონებით შეხვდა.

ცნობილი გახდა ისიც, რომ ახალი პროექტი “ცოცხალი წიგნები”, ოთხ ეტაპად განხორციელდება და მთელი წლის განმავლობაში პროექტში მონაწილეობას მიიღებს 75 მწერალი. აღნიშნული პროექტის ფარგლებში მოეწყობა პოეზიის საღამოები, მკითხველისათვის საინტერესო და აქტუალურ თემებზე გაიმართება დისკუსიები... აი, სწორედ ამას ითვალისწინებდა 14 აპრილს კასპში გამართული შეხვედრაც, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა კულტურის მინისტრის მრჩეველმა და პროექტის ხელმძღვანელმა, მწერალ ნოდარ დუმბაძის ქალიშვილმა ქეთი დუმბაძემ. შეკრებილ საზოგადოებას მიესალმა და პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრა პოეტმა, პროექტის კოორდინატორმა მარიამ წიკლაურმა, მან აგრეთვე საზოგადოებას წარუდგინა თავისი ბოლოდროინდელი ლექსები.

— პროექტის ფარგლებში ჩვენი პირველი შეხვედრა მკითხველთან თქვენს ქალაქში გაიმართა, რის გამოც ძალიან მოხარული ვართ, — განაცხადა სიტყვით გამოსვლისას პოეტმა, ლიტერატურულ პრემია “საბას “ ლაურეატმა პაატა შამუგიამ, — დარწმუნებული ვართ, რომ თანამედროვე მწერლები ძალისხმევას არ დაიშურებენ, რათა რეგიონების მკითხველთან დაახლოება, მათთან აქტიური შეხვედრები ერთგვარი გარღვევა იყოს კულტურული სივრცისათვის, პოეტისა და პროზაიკოსის ხმა ყველას მისწვდეს.

შემდეგ საკუთარი ლექსები წაიკითხეს პოეტებმა ნინო სადღობელაშვილმა, კატო ჯავახიშვილმა, მოთხრობებიდან ამონარიდები გააცნეს მკითხველს მწერლებმა, სასულიერო აკადემიის ლექტორმა ირაკლი ლომოურმა, ჟურნალ “ლიბერალის” წარმომადგენელმა ბექა ქურხულმა.

ღონისძიებას ესწრებოდა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა გოჩიტაშვილი, რომელმაც უღრმესი მადლობა გადაუხადა შეხვედრის ორგანიზატორებსა და დედაქალაქიდან ჩამოსულ სტუმრებს, შეკრებილ საზოგადოებას. სიტყვებით გამოვიდნენ კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი ალექსანდრე გზირიშვილი, კასპის ბიბლიოთეკის დირექტორი თეა ბარნაბიშვილი, ბიბლიოთეკის სპეციალისტები ლია მენაბდიშვილი, ლია სოზიაშვილი. ბოლოს ღონისძიების სტუმარ- მასპინძლებსა და მოსწავლეახალგაზრდობას გულითადი მადლობა გადაუხადა კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა თეა ხორბალაძემ.

კულტურის დაწესებულებების გაერთიანება.

გილოცავთ!

ქორეოგრაფიის ამაგდარის საპატიო წოდება

მიმდინარე წლის 28 მარტს “არტჰოლი”-ს კულტურის სახლში ჩატარდა სანიმუშო სახალხო ანსამბლების დათვალიერება ფესტივალი-კონკურსი.

ფესტივალის ორგანიზატორმა, საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირმა ქ. კასპიდან ანსამბლი “ქორეოლოგია” მიიწვია.

კონცერტის მსვლელობის დროს სცენაზე გამოცხადდა, რომ “ქორეოლოგია” წარდგენილია სახალხო სანიმუშო ანსამბლის წოდებაზე, ხოლო ხელმძღვანელი ხათუნა გაგაძე ქართული ქორეოგრაფიის ამაგდარის მედლის კანდიდატი იყო.

ანსამბლმა “ქორეოლოგიამ” კონკურსზე შეასრულა ორი ცეკვა: “ქართული” და “კინტაური”. ჟიურიმ გამორჩეული ემოციით მიიღო ცეკვა “ქართული,” საუკეთესო დადგმისათვის ანსამბლ “ქორეოლოგიის” ხელმძღვანელს ხათუნა გაგაძეს კავშირის თავმჯდომარის რეზო ჭანიშვილის სახელით საქართველოს ქორეოგრაფიის ამაგდარის მედალი გადასცა იური ტორაძემ, ხოლო ანსამბლის თითოეული წევრი ფოლკლორის საერთაშორისო საბავშვო, ახალგაზრდულ ფესტივალ “გაზაფხულის რითმებში” მონაწილეობისა და მაღალი საშემსრულებლო ოსტატობისათვის ლაურეატის დიპლომით დაჯილდოვდა.

მომდევნო ფესტივალი 14 ივნისს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება. ანსამბლი “ქორეოლოგია” მიწვეულია აღნიშნულ კონცერტზე.

მკითხველს შეუძლია მიგვაწოდოს შემეცნებითი-გასართობი მასალები, ხალვეფრი ეროსვორდები. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია მიგვმართოს მისამართზე - ყასბი, ხალეაძის ქ. 68. ან დარეკოს ტელეფონზე: 03712 22576.

ქვემო ჭალის ანსამბლი დაჯილდოვდა

მარტის ბოლოს თბილისში, კულტურის ცენტრ “მუზასა” და არტოს ბაღში საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდულ საგუნდო კოლექტივების პირველი ეროვნული კონკურსის ფინალური ტური გაიმართა. კონკურსის მიზანი გახლდათ საქართველოში აკადემიური საგუნდო შემსრულებლების პოპულარიზაცია, ეროვნული სასიმღერო ტრადიციების დაცვა, ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების საშემსრულებლო დონის ამაღლება, ახალი სახეების აღმოჩენა, ქართული საგუნდო მუსიკის პოპულარიზაცია... კონკურსი ჩატარდა სამ კატეგორიაში: აკადემიური სიმღერა, ქართული ხალხური სიმღერა, ტრადიციული ქართული გალობა.

საქართველოს მასშტაბით კონკურსში 260 გუნდი მონაწილეობდა. ქართული სიმღერის კატეგორიაში მონაწილეობდა ქვემო ჭალის კულტურის სახლთან არსებული ანსამბლი, რომელსაც ხელმძღვანელობს გიორგი ხასიშვილი, ანსამბლის წევრები: ძმები ხვიჩა, გიორგი, გაბრიელ ხელაშვილები.

ჟიურიმ (სახეობების მიხედვით) გამოავლინა კონკურსის გამარჯვებულები და ლაურეატები. გამოვლინდა 6 პირველი ადგილი, პირველ ადგილზე გასულ გუნდებს შორის დასახელდა ქვემო ჭალის ანსამბლი.

კულტურის დაწესებულებების გაერთიანება.

ხსოვნა

ვახტანგ იაშვილი

ორმოცი დღე გავიდა, რაც ამ ქვეყნიდან წახვედი. თან გაიყოლე უამრავი ცრემლი და სიყვარული, ჩვენ კი ამ ქვეყნად დარჩენილებს დაგვიტოვე უდიდესი ტკივილი.

როგორ სწრაფად გაირბინა ამ ორმოცმა დღემ! თითქოს ისევ ჩვენთან ხარ, ჩვენთან ერთად ფუსფუსებ, საქმიანობ... საოცარი გულისხმიერებით, უბრალოებით და თავმდაბლობით გამოირჩეოდი მეგობრებს შორის, დიდად ერთგული, გულკეთილი და უღალატო კაცი იყავი. შენ, მეგობრებისათვის, სიკეთისათვის, სიყვარულისთვის იყავი მოსული ამ ქვეყნად. ამიტომაც დატოვე დაუვიწყარი სახელი შენს ახლობლებსა და მეგობრებში. შენი ხალისიანი, მოუსვენარი, თბილი ბუნება ყველას სამეგობროდ განაწყობდა, ამიტომაც გვიხაროდა შენს მეგობრებს სტუმართმოყვარე კაცთან მოსვლა, ყოველდღიური შეხვედრა.

ძმაო ვახტანგ, ძალიან ლამაზად იცხოვრე. დროს იმ ტკივილის განელება არ შეუძლია, რასაც შენი დაკარგვით განვიცდით ყველა. ულმობელმა სენმა წაგვართვა შენი თავი, მაგრამ ჩვენ ყოველთვის გვეხსომები გამორჩეული იუმორით, სიკეთით, ინტელექტით და ადამიანურობით. დააკლდი როგორც შენს ლამაზ ოჯახს, ასევე სანათესაოს, ნაცნობ-მეგობრებს. გვჯერა, რომ შენი კეთილი სული ზეციდან დაგვცქერის და ყველას გვლოცავს, დროთა სიშორე ვერასდროს გაახუნებს შენს ნათელ სახეს.

უფალს შევთხოვთ, რომ შენი კეთილი სული განისვენებდეს იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

მეგობრები.

გვმოიწერეთ "ახალი გვნთავლი" და გახლით ჩვენი მკითხველი!

სპორტი

ღია ტურნირი

კარატეს ღია ტურნირები ჩატარდა, 28 მარტს მცხეთაში, ხოლო 4 აპრილს ქუთაისში. მონაწილეობდნენ საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის კარატისტები, სულ 21 გუნდი, მათ შორის იყვნენ ჩვენი რაიონის კარატეს კლუბ "ხვადის" წევრები.

– კასპელი კარატისტების ასპარეზობა ამ ტურნირებში წარმატებული გამოდგა, – განაცხადა საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაციის კლუბ "ხვადის" პრეზიდენტმა, კასპის რაიონის კარატეს მწვრთნელმა დავით დალაქიშვილმა, – მინდა გითხრათ, რომ როგორც ყოველთვის ეს სპორტული პაექრობა იყო დაძაბული, ამავე დროს საინტერესო, ჩვენმა კარატისტებმა ამჯერადაც ასახელეს რაიონი.

საბოლოო შედეგები ასეთია: მცხეთის ღია ტურნირის პრიზიორები: პირველი ადგილი მოიპოვეს გივი ფსუტურმა /8-9წ. +40კგ./ და გიორგი ქესაურმა /12-13წ. +45კგ /, ხოლო მესამე ადგილს დასჯერდა დავით ჯანჯულია /12-13წ. +45კგ /.

ქუთაისის ღია ტურნირის პრიზიორები: ორი პირველი ადგილი გაინაწილეს გივი ფსუტურმა და თორნიკე მურღულმა /14-15წ. – 60კგ /, ხოლო 8 კარატისტი გახდა მესამე ადგილის მფლობელი, ესენი არიან: ბობა დალაქიშვილი /18-34წ. – 75კგ /, თორნიკე მურღული /14-15წ. + 60კგ /, გიორგი გოჩიტაშვილი /18-34წ. + 75კგ /, თამაზ ნაბახტეველი /16-17წ. +65კგ /, დავით ჯანჯულია /12-13წ. + 45კგ /, მარიამ მერებაშვილი /8-9წ. აბსოლუტური/, ანა ყაზარაშვილი /10-11წ. აბსოლუტური/, ანა ყაზარაშვილი /12-13წ. აბსოლუტური/.

ჩემპიონატი კალათბურთში

8 აპრილს ქალაქ კასპში შპს "ბესიკ ნიპარიშვილი" მრავალპროფილიანი სკოლა-გიმნაზიის ინიციატივითა და კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანების მხარდაჭერით სკოლებს შორის ჩატარდა ჩემპიონატი კალათბურთში ვაჟებს შორის.

აღნიშნულ ტურნირში დღესის, ქვემო ჭალის, კასპის მეორე საჯარო სკოლის და შპს "ბესიკ ნიპარიშვილი" მრავალპროფილიანი სკოლა-გიმნაზიის გუნდებმა მიიღეს მონაწილეობა.

გამარჯვებულ გუნდს გარდამავალი თასი გადასცეს, ხოლო საუკეთესო მოთამაშეები სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვეს.

I ადგილი: შპს "ბესიკ ნიპარიშვილი" მრავალპროფილიანი სკოლა-გიმნაზია.

II ადგილი: სოფელ ქვემო ჭალის საჯარო სკოლა.

III ადგილი: კასპის მეორე საჯარო სკოლა.

კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება

შეგიძლიათ, მოგვაწოდოთ თქვენი შვილების, შვილიშვილების ორიგინალური ფოტოები, ნახატები, აზრები. ისინი გამოქვეყნდება ჩვენს გაზეთში

..ყოველ ..ილოდებს გამოხმაურებას

ფოტო-მასალა "ახალი გვნთავლი.. ელოდება ყველა-ფერ ინტერესოს ინფორმაციას ადგილობრივ ფოტო-მასალის შესაჯამებლად. თხოვნით მივმართავთ თანხმრავლებს - ფოტოვით თქვენი ყვავილი ჩვენს მასალაში! გამოგვიგზავნეთ ინფორმაცია და ახალგაზრდა ფოტოები!

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა "ქოლორში"

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.

სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ. კასპი სააკაძის ქ. № 68

ტელეფონი 22-25-76